სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..

# ოდიში

1991
სამშაბათი
23
აპრილი
№ 48 (10441)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების თარიღის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 1991 წლის 26 მაისს.

დაევალოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 14 აპრილი.

## გ ი ლ ო ც ა ვ თ!

ძვირფასო ზუგდიდელებო, ჩემო საყვარელო ამომრჩევლებო, სულით და გულით გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებას! ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნებამ ფრთები შეისხა.

დღეს, როგორც არასდროს, გვმართებს გაათკეცებული ენერგიით ვილვაწოთ საქართველოს კეთილდღეობისათვის, გვჭირდება ერთობა და დარაზმულობა საბოლოო გამარჯვების— ფაქტიური დამოუკიდებლობის მისაღწევად.

ერთხელ კიდევ გილოცავთ!

ღმერთი იყოს ჩვენი მამულის მფარველი!

ზაურ ქობალია,

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი.

ხალხის გულისთქმა: სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს

## ჩვენ გვჯერა ხვალინდელი დ ღ ი ს

რთული დღეები დგას ჩვენს მრავალტანჯულ ქართულ მიწაზე. ათეული წლების მანძილზე გაბატონებულმა ბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა რეჟიმმა, რომელიც ცენტრის ნებასურვილის მიხედვით განაგებდა საქართველოს ბედ-იღბალს, უკიდურეს გაჭირვებამდე მიგვიყვანა. ჭერ ერთი, შიშსა და რეპრესიებზე აგებულმა მართვის ტოტალიტარულმა სისტემამ ადამიანები გადააჩვია სიმართლეს, აიძულა ეკეთებინათ უკეთური საქმეები, ხელი აეღოთ წმიდათაწმიდა ზნეობრივ ნორმებზე და ა. შ. ასე თანდათან, „მეთოდურად“ ვცილდებოდით ადამიანურ სახეს, იმ თანშობილ ღვთიურ საწყისს, საიდანაც საფუძველი ეყრება ჭეშმარიტ მოქალაქეს, მის მორალურ კრედოს.

ქართველმა ხალხმა გადადგა ისტორიული ნაბიჯი. ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ეროვნული მთავრობა. სახალხო მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე გაგზავნილი იქნენ გულმხურვალე პატრიოტები. შეიძლება აბსოლუტურად ყოველმა მათგანმა მთლიანად ვერ უპასუხოს იმ მოთხოვნებს, რასაც თავისუფლებას მოწყურებული ჩვენი ხალხი მათ უყენებს. ცხოვრება გაცილებით უფრო მკაცრია, ვინემ ადამიანთა სურვილების სფერო. მაგრამ ერთი რამ ურყევად მწამს: ახალმა დრომ, არაორდინარულმა მოვლენებმა წინა პლანზე წამოსწია ის კონტინგენტი, ვისაც მამულის სიყვარული, ქვეყნის ახლებურად მოწყობის ჟინი მიუჩნევია თავისი მოღვაწეობის ორიენტირად.

ამ დღეებში კიდევ ერთი ღირს სახსოვარი ფაქტის მოწმენი გავხდით. საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომის მონაწილეებმა რესპუბლიკის პრეზიდენტად ერთ ხმად აირჩიეს ბატონი ზვიად გამსახურდია. პიროვნება, ვინც მთელი თავისი მოწამებრივი ცხოვრება სამშობლოს განთავისუფლების საქმეს მიუძღვნა. მთელი ქართველი ხალხი მასში ხედავს თვით თავისუფლების იდეის განსახიერებას, ამიტომაც ეიმედება მისი. ამ ექსტრემალურ პირობებში, როცა საფრთხე კარებზე გვიკაკუნებს, ბატონი ზვიადისთვის გამოცხადებული დიდი ნდობა ერთადერთ ჭეშმარიტ ნაბიჯად გვესახება. იმედი მაქვს, იგი კვლავაც გამოიჩენს პოლიტიკურ წინდახედულებას, სიბრძნეს, შინაგან, სულიერ მხნეობას და თავის გვერდით მდგარ მამულიშვილებთან ერთად საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანს საქართველოს.

ჯ. თელია.

## ო ც ნ ე ბ ი ს ა ხ დ ე ნ ა

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნებაა თავისუფლება, იმისათვის იბრძოდა ხმალჩაუგებლად ქართველი, რომ თვითვე ყოფილიყო საკუთარი თავის პატრონი, თავისივე სიმდიდრის გამგებელი.

ახლა დიდი ხნის ოცნება. ამის დამადასტურებელია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის საგანგებო სხდომა, რომელმაც გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. ვინ და რატომ უნდა აღუდგეს წინ ჩვენი ამ საუკუნოვანი ოცნების განხორციელებას?

სუვერენიტეტის გამოცხადებას რეფერენდუმის წარმატებით ჩატარებამაც შეუწყო ხელი. ახლა მთავარია საკრებულოებში არჩეულმა ადამიანებმა მთელი ძალისხმევით, სრული პასუხისმგებლობით მოკიდონ ხელი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებას.

წარსულში რაც იყო, იყო. კარგი საქმეც კეთდებოდა. ახლა გვჭირდება სრული განწმენდა. ადამიანს, ხელმძღვანელს მხოლოდ მაშინ აქვს მორალური უფლება სხვათა დანაშაულზე ილაპარაკოს, როცა თავად სპეტაკია და უანგაროდ ემსახურება ხალხს. სამწუხაროდ, ზოგჯერ ასე როდია.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღემ სიხარულით აავსო ყველანი. ბედნიერების შუქი აკიაფდა ქართველი ხალხისა და ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ჩვენი თანამებრძოლი ადამიანების თვალებში.

დე, ამ დღეს გაემართლებინოს ჩვენი დიდი იმედები!

თამარ ლურჯაია,

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

გაზაფხულის ყვავილები ეფინება ზვარაკთა სისხლით მორწყულ მთავრობის სასახლის წინამდებარე მოედანს. საზღვარს სცილდება თავისუფლებას მოწყურებული ხალხის მოთმინება. პირველმა დამპყრობელმა გადმოაბიჯა საქართველოს მიწაზე. საქართველოს მთელი ისტორია სამშობლოსათვის დაუოკებელი ბრძოლაა.

## თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა. . .

ლი ხალხის მოთმინება.

—თითქოს ვედრების თვალებით შემოგვყურებენ შიდა ქართლში გაუგონარი უსამართლობის მსხვერპლ ქართველ ვაჟკაცთა სულები.

9 აპრილი—საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე.

გლოვა სიხარულმა შეცვალა, 9 აპრილს გაცხადებული დამოუკიდებლობა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის გვირგვინია.

თავისუფლება გვიახლოვდება, გვესმის მისი ნაბიჯების ხმა.

თავისუფლებისათვის ბრძოლა ჭერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ხელმა გვმართებს ერთმანეთის თანადგომა და სიყვარული, ერთურთის მიტევება, რადგან „რაც უნდა დიდი იყოს შენაცოდები, შენდობის მადლი უზეშთაესია“.

სწორედ დღეს გვჭირდება მაერთიანი ქართული სიდარბაისლისა და მოთმინების ნიჭი, რათა „მოთმინებითა ჩვენითა მოვიპოვოთ სასუფეველი ჩვენი“.

მჯერა, რომ წმინდა ქალწული ახლაც გადმოაფარებს კალთას თავის წილხვედრ საქართველოს.

თავისუფლებას გილოცავთ, მრავალტანჯულო ქართველო ხალხო!

თამაზ როგავა,

## აღსრულდა ყველას ნაოცნებარი

ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტის მიღებამ უსაზღვროდ აღაფრთოვანა საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანები.

უსაზღვროა ახალკახათის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის წევრების სიხარულიც. ისინი ახლა მეტი მონდომებით მუშაობენ. ყველა მაღალპასუხისმგებლობას იჩენს საქმისადმი. მათ იციან, რომ ახლა საჭიროა მეტი სიმტკიცე, შემართება, შრომა, ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის.

ბრიგადაში დამთავრდა ჩაის პლანტაციების გადაბარვა-გაფხვიერება, კალიუმიანი და ფოსფორიანი სასუქების შეტანა და სხვა სამუშაოები. ყველა პირობა [illegible] მეტი ჩაის, სიმინდის და სხვა მარცვლეული კულტურების წარმოებისათვის.

მ. ლესინძე,

ბრიგადირი.

## გაფიცვას შეუერთდნენ

სამაჩაბლოში მიმდინარე მოვლენების გამო, აგრეთვე რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ცენტრის უხეში ჩარევისათვის გამართულ აქციაში ერთსულოვნად ჩაებნენ ზუგდიდელი მშრომელები. როგორც ვიუწყებოდით, გაფიცულია მანქანათმშენებელი ქარხანა. ამჟამად კი მუშაობა შეჩერებულია აგრეთვე „საქქალაღმრეწვის“ საწარმოო გაერთიანების ორ საამქროში—მუყაოს წარმოებისა და მუყაოს შეწებვის უბნებზე, საიდანაც ძირითადად რუსეთს მიეწოდება პროდუქცია.

საამქროების მშრომელებმა დეპეშა გაგზავნეს საქართველოს პრეზიდენტის ზ. გამსახურდიასა და სსრკ პრეზიდენტის მ. გორბაჩოვისადმი, სადაც ნათქვამია, რომ მშრომელები აღშფოთებას გამოთქვამენ კრემლის დაპყრობლური პოლიტიკის გამო და უერთდებიან რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებას, მანამდე გააგრძელონ გაფიცვა, ვიდრე შიდა ქართლიდან ჯარები არ იქნება გაყვანილი.

# ნუღარ ექნებათ ძალის იმედი

მთელი ქვეყანა მღელვარებას მოუცავს. „კუზბასის" მეშახტეების ტოტალურმა გაფიცვამ საგონებელში ჩააგდო ცენტრი. მეტალურგიულ კომბინატებს დააკლდა მილიონობით ტონა ქვანახშირი, ახალი ასტრონომიული ციფრებით გამოიხატება ზარალი, რაც ამ პოლიტიკური აქციების შედეგად ადგება სახელმწიფოს, ხალხს.

დიდი ხაზი და ლარი არ არის საჭირო იმის გასარკვევად, თუ რამ აიძულა მაღაროელები გადაედგათ ეს უკიდურესი ნაბიჯი. მათ უბიძგა აუტანელმა ყოფითმა პირობებმა, სოციალურმა სიძნელეებმა, ელემენტარული საკითხების მოუგვარებლობამ. გაფიცვები წინათაც მოეწყო, მაგრამ ათასების ხმა დარჩა „მღაღადებლად უდაბნოსა შინა".

—ჩვენ წლობით გვიხდება უმძიმეს პირობებში მუშაობა,— აღნიშნავენ გაფიცულები. ყოველი ჩვენგანის ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. ამოვლენ მაღაროდან, ორპირ ქართან, მტვერთან, მხუთავ გაზებთან ნაბრძოლი ადამიანები. აქ კი, მიწის ზემოთ ცარიელი მაღაზიები, გაუხარელი ყოფა.

მართალია, მუშებს აწუხებთ მძიმე სოციალური პირობები, მაგრამ მთავარი ეგ მაინც არ არის. საგაფიცვო კომიტეტს უფრო პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები აქვს. ისინი ითხოვენ მ. გორბაჩოვის გადადგომას და მთელი რიგი პოლიტიკური ღონისძიებების გატარებას.

თავისი პრობლემები აქვს თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს. რკინიგზელთა და სხვა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა გაფიცვა გამოწვეულია ცენტრის ძალმომრეობითი პოლიტიკით, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეგვიწყონ სამაჩაბლოში არსებული ექსტრემალური სიტუაციის განმუხტვაში, თავად ძაბავენ ვითარებას. ამ ვერაგული მოქმედების მიზანი კარგა ხანია ამოიცნო ჩვენმა ხალხმა, მსოფლიო საზოგადოებრიობამ. იმპერიული ძალები, უპირველეს ყოვლისა მიხეილ გორბაჩოვი უნდა მიხვდნენ, რომ ტანკებით და ავტომატებით ხალხის დაშინების დრო წავიდა. გამწვავებული საკითხები მხოლოდ ცივილიზებული ფორმით, პოლიტიკური დიალოგის მეშვეობით უნდა გადაწყდეს.

რ. ხოსელია,
ჩვენი კორ.

# განზე გადგომა ღალატს უდრის

დღეს პრინციპულად დგას იმპერიული მარწუხებიდან თავის დახსნის საკითხი. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გამოსვლებში არაერთხელ ითქვა გარკვევით და ცალსახად, რომ რესპუბლიკაში მოსახლე მოქალაქეებმა, რა ეროვნების წარმომადგენლებიც არ უნდა იყვნენ ისინი, მხარი უნდა დაუჭირონ საქართველოს დამოუკიდებლობას. ამით გამოიხატება საღად მოაზროვნე ადამიანის ნება. ეროვნული თვითგამორკვევის პროცესი ის ფენომენია, რომელსაც წრფელი გულით და მაღალი შეგნებით უნდა მიუდგე. ეს ასეც მოხდა. რესპუბლიკის მოსახლეობას არ მიუღია მონაწილეობა იმ რეფერენდუმში, რომელსაც ახალ მონობაში შეჰყავს რესპუბლიკები, მცირე ერების წარმომადგენლები.

თუ საქართველოში ცხოვრობ, მისი ჰაერითა და წყლით საზრდოობ, კეთილი ინებე და დაუდასტურე მას ერთგულება. ქართველი და არაქართველი ხალხის ინტერესები რამ უნდა გაჰყოს, ცხოვრებისეული ლოგიკა მხოლოდ ასეთია: თუკი მშვიდობიანობის ჟამს სარგებლობ ქვეყნის სიკეთით, გაჭირვების დროსაც მხარში უნდა ამოუდგე. სწორედ ეს უკარნახა გულმა ჩვენს მიწაზე მოსახლე სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს. მათი ნება ცალსახად გამოიხატა საქართველოს რეფერენდუმში დამოუკიდებლობის აქტის მიღების დღეებში.

ამ ერთიანობის წყალობით ჩვენ დავძლევთ ყოველგვარ განსაცდელს.

ზ. ალშიბაია,
ჩვენი კორ.

აკაკი წერეთელი — 150

# ხალდელ მეამბოხეთა დამცველი

როგორც ცნობილია, რუსეთმა სვანეთი 1858 წელს შეიერთა, ამ დროს სვანეთი სამ ძირითად ერთეულად იყო დაყოფილი. სადადეშქელიანო სვანეთად, რომელშიც შვიდი თემი შედიოდა, თავისუფალ სვანეთად და სადადიანო სვანეთად. პირველ ორს ერთმანეთისაგან მაღის მთა ყოფდა. სადადიანო სვანეთს კი უზარმაზარი ლატფარის მთა, მას მდინარე ცხენისწყლის ნაპირები ეკავა.

როგორც მკვლევარები (ბ. ნიჟარაძე, ვ. ძიძიგური ა. გელოვანი) მიუთითებენ, სადადეშქელიანო სვანეთს მონობის ერთგვარი დაღი ესვა. მათგან განსხვავებით თავისუფალი სვანები ლაღი, ამაყი გაბედული და პირდაპირი ხალხი იყო, სადადიანო და სადადეშქელიანო სვანეთს მეფის მთავრობა ხშირად თავისუფალი სვანების წინააღმდეგ იყენებდა.

1875 წლის დასაწყისში ზემოსვანეთის ბოქაულმა ჯორჯაძემ მთავრობის განკარგულებით მიწების აზომვა დაიწყო. ამ გარემოებამ თავისუფალი სვანები ეჭვში შეიყვანა. შეკითხვაზე, თუ რა მიზნით ზომავდნენ მიწას, ბოქაულმა უპასუხა: ნაბრძანები მაქვს და ვზომავო. სვანეთში ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგან სვანებს მქონდათ მწარე გამოცდილება, თუ როგორ შეაპარეს მათ სხვადასხვა გადასახადები. ურთიერთობამ თანდათან დრამატული ხასიათი მიიღო, მოხდა რამდენიმე ინციდენტი. ბოლოს ხალდეში, რომელიც აჯანყების ეპიცენტრი იყო ფიცი დადეს შალიანის ხატის წინ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ თავიანთი ინტერესების დასაცავად. შალიანის ხატს კი მაგიურ ძალას ანიჭებდნენ. მას მთელი გვარეულობები შეურიგებია ერთმანეთთან, მტრად გადაკიდებულთა შორის მშვიდობა ჩამოუგდია. ბევრი ბოროტმოქმედებისათვის აუხდია ფარდა. აღნიშნული ხატის ისტორია ორიოდე სიტყვით ასეთია: თამარ მეფის ჯარში მსახურობდა ახალგაზრდა სვანი სახელად შალიანი. მას თამარის გვერდით არაერთ ბრძოლებში უსახელებია თავი. აღფრთოვანებულმა თამარმა თურმე ერთხელ მიმართა: მთხოვე, რაც გსურს რომ შეგისრულოო. შალიანმა მეფეს უძვირფასესი ხატი სთხოვა, მეფემ დანაპირები შეუსრულა. შალიანმა ხატი სვანეთში ჩამოიტანა, მის სახელზე ააშენეს წმინდა კვირიკეს ეკლესია და შალიანის სახელით მონათლული ძვირფასი განძი იქ დაასვენეს. აკადემიკოს ნიკო მარის შეფასებით ხატი ორი მილიონი მანეთი ღირდა. (ვ. ძიძიგური „მასწავლებლის ჩანაწერები" 1937წ.).

მიუხედავად მრავალი დიპლომატური ღონისძიების გატარებისა, მეფის მთავრობა თავის პოზიციებს არ თმობდა. არც თავისუფალი სვანები კადრულობდნენ თავიანთი ღირსებების შელახვას და აი, 1876 წლის 26 აგვისტოს მოხდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. გენერალმა ციტოვიჩმა, რომელსაც მრავალრიცხოვანი ჯარით ალყა ჰქონდა შემორტყმული ხალდესათვის, ქვემეხები დაუშინა მას, ლაღუმებით ააფეთქეს და მიწასთან გაასწორეს სოფელი. უთანასწორო ბრძოლაში რამდენიმე სვანი მეომარი დაიღუპა, სულ კი მათი შემადგენლობა ორმოც კაცს თუ აღწევდა. დიდი დანაკლისი განიცადა რუსის ჯარმა, მოკლულ იქნა სამი მაღალი რანგის ოფიცერი და ბევრი ჯარისკაცი. მეამბოხეთა მხრიდან აჯანყების ხელმძღვანელებად ცნობილ იქნა თექვსმეტი კაცი. მათგან თორმეტი დააპატიმრეს. აჯანყების მესვეურები გაასამართლა კავკასიის სამხედრო სასამართლომ ქუთაისში საველე პირობებში იმავე წლის ნოემბერ-დეკემბერში. სამართალში მიცემულთ იცავდნენ მთავარი ადვოკატი ლუარსაბ ლოლუა, დავით ლორთქიფანიძე და დრობიშევი. და აი, ყველასათვის მოულოდნელად დაცვაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა აკაკი წერეთელმა. პოეტი მაშინ ოცდათექვსმეტი წლისა იყო. —ჯერ თავადი, შემდეგ პოეტი, როგორ კისრულობს გლეხების დაცვას,— კითხულობდა გაკვირვებული საზოგადოება. სასამართლოზე აკაკი გამოვიდა უფროს ადვოკატ ლოლუას შემდეგ. რუსულ ენაზე წარმოთქმულ სიტყვაში პოეტმა გამოავლინა სამართლის ნაღვაწლიანი ცოდნა. მან ქართველი ხალხის სახელით გამოხატა ღრმა აღშფოთება მცირერიცხოვანი ერების მიმართ უსამართლო დამოკიდებულებისათვის, მისი სიტყვა გამსჭვალული იყო დიდი ჰუმანური პრინციპებით, რომელიც გამოხატავდა მეამბოხეთა სატკივარს, აკაკიმ თავის გამოსვლაში დაამტკიცა, რომ კანონები იწერება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ამიტომ თავისუფალი სვანები კანონს არ ემორჩილებოდნენ, ისინი არავის ერჩოდნენ, მხოლოდ მათ მიმართ უხეშ მოქმედებას შეეძლო მათი წონასწორობიდან გამოყვანა. რამდენადაც მათი მოქმედება იძულებითი იყო, მან მოითხოვა 1869 წელს გამოცემული კანონების გადასინჯვა და სასჯელის შემსუბუქება. კანონის სიმკაცრე უნდა შეერწყოს სამართლიანობას და ჰუმანიზმის პრინციპებს. აკაკის მოსამართლემ და პროკურორმა რამდენიმეჯერ შეაწყვეტინეს სიტყვა მკვახე შენიშვნებით, მაგრამ სამართლიანობის მოდალადე პოეტის შეჩერება არავის შეეძლო. ხალდეს ამბავი მხოლოდ ერთერთი ეპიზოდია ხალხის ჩაგვრისა და მოხელეთა უკანონო მოქმედებისა: „დაე სამართალმა და მოწყალებამ იმეფონ სასამართლოებში",—ამ სიტყვებით დაამთავრა აკაკიმ თავისი გამოსვლა. სწორედ ყველაზე მეტად პოეტის დაცვითმა სიტყვამ აიძულა მეფისნაცვალი ბარიატინსკი სიკვდილით დასჯის გეგმა შეეცვალა სხვა უფრო შერბილებული სასჯელებით.

სვანეთის ამ პატარა მიყრუებული სოფლის ტრაგედია, სადაც აჯანყების დროს სულ რაღაც თვრამეტი კომლი ცხოვრობდა, მთელი მსოფლიოსათვის გახდა ცნობილი. ხალდეს ამბოხება „ერთი პატარა რგოლია მთლიანი ჯაჭვისა, რასაც ეწოდება საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა და რასაც ხელმძღვანელობდნენ დიდი ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე" (ნ. აგიაშვილი).

ხალდის აჯანყების შესახებ დიდძალი ლიტერატურა არსებობს ამ ათიოდე წლის წინათ გამოვიდა აკაკი გელოვანის ისტორიული რომანი „სვანეთის თეთრი ქუდი", ბესარიონ ნიჟარაძის, ვარლამ ძიძიგურის და სხვათა მოგონებები. მათ შორის აკაკი წერეთლის დაცვითი სიტყვა მჭევრმეტყველების კლასიკური ნიმუშია, რომელიც მუდამ დარჩება ქართული რიტორიკული ხელოვნების შედევრად.

კოკი ფიფია.

## ადგილობრივი საკრებულოების საარჩევნო კომისიებს

დაევალოს საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების ადგილობრივ კომისიებს შეინახონ არჩევნების მოსაწყობად შეძენილი ინვენტარი, რათა შემდგომ ივი გამოიყენონ 1991 წლის 26 მაისს დანიშნული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევისათვის.

ზუგდიდის რაიონის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: მზია ჯგუშია

1991 წელი, 18 აპრილი.

ანონსი



## ახალი სპექტაკლები

ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ამას წინათ მიმდინარე წლის მეორე პრემიერად წარმოადგინა თ. მეტრეველის ორმოქმედებიანი პიესა „ზღვარი" რეჟისორ მ. ბესტავაშვილის დადგმითა და სცენოგრაფიით. სპექტაკლში, რომელიც მაყურებელმა გულთბილად მიიღო ასახულია თანამედროვეობის მწვავე პრობლემები, ერის ცხოვრებასთან დაკავშირებული ფიქრები და ტკივილები.

23 აპრილიდან თეატრი მაყურებელს ახალ პრემიერაზე იწვევს; ამავე რეჟისორის ინსცენირებითა და დადგმით ნაჩვენები იქნება ი. ჭავჭავაძის ცნობილი მოთხრობის „კაცია ადამიანი?!" მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „ლუარსაბ", რომელშიც მონაწილეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ა. როგავა, მ. ტოგონიძე, პ. წულაია, მსახიობები: ზ. ლაშხია, მ. დარასელია, ლ. კვერნაძე, მ. გელაშვილი, ლ. სულხანიშვილი, ი. მირცხულავა, მ. ჯაფარიძე, ზ. გუნია, დ. გოგიტაშვილი და სხვები.

ორივე სპექტაკლი მომზადდა ზამთრის მძიმე პერიოდში, ელექტროენერგიისა და გათბობის სისტემატური გამორთვის პირობებში, რაც რეჟისორის, მთელი შემოქმედებითი კოლექტივის, თეატრის დირექციის დიდი დამსახურებაა.

მ. ბაგრიონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ენგურელ მექაღალდეთა თანადგომით

სულ რაღაც სამიოდე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ერგეტის მექამეჩეობის მეურნეობა „საქქაღალდმრეწვის" საწარმოო გაერთიანების კოლექტივს გადაეცა დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად. რა თქმა უნდა, ეს კარგი ცხოვრებით არ გახლდათ ნაკარნახევი. ამიტომაც იყო რომ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება ადვილად შეელია საზოგადოებრივ მეურნეობას, რომელიც წლების მანძილზე ჩამორჩებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმის შესრულებაში. ამასთან ჩვენი მეურნეობა სახელმწიფოსაგან დოტაციის სახით საკმაოდ სოლიდურ თანხასაც იღებდა.

დროის სულ მცირე მონაკვეთში „საქქაღალდმრეწვის" საწარმოო გაერთიანების დირექციამ ბევრი რამ გააკეთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ამაღლებისა და სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. საწარმოო გაერთიანება და მეურნეობის დირექცია ერთობლივად სახავენ სოფლის სოციალ-ეკონომიკური განვითარების გეგმებს, რომლის განხორციელება უახლოესი დროისათვის არის გათვალისწინებული. ეს გეგმები კი უკვე ისხამს პრაქტიკულად ხორცს. დღითიდღე იერს იცვლის სოფელი. იგი განსაკუთრებით შიდასასოფლო გზებს და სოფლის ცენტრს დაეტყო. სოფლის ბევრი გზა, რომელიც წლების განმავლობაში გაუვალი იყო, მოიხრეშა, ცვანესა და დიდდობერის უბანში კი რვა გრძივ კილომეტრზე დაგებულ იქნა ასფალტი. მწყობრში ჩადგა საშუალო სკოლის ტიპიური ნაგებობა სპორტდარბაზით 350 მოსწავლისათვის და საბავშვო ბაღი 100 აღსაზრდელისათვის, რის გამოც ერგეტელები დიდად ემადლიერებიან ენგურელ მექაღალდეებს და მათს ხელმძღვანელობას.

სამაგიეროდ არც ერგეტელები რჩებიან ვალში. შარშან ჩვენმა მეურნეობამ საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებს 550 ცენტნერი საქონლისა და 100 ცენტნერი ღორის ხორცი მიყიდა სახელმწიფო ფასებში. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კი—100 ცენტნერი ხორცი და 150 ცენტნერი კიტრი.

დღევანდელ რთულ ეკონომიკურ ვითარებაში, როცა კატასტროფულად იზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები საკოლმეურნეო ბაზარზე, როცა სახურსათო მაღაზიის დახლები დაცარიელებულია, ერგეტელებს შეგნებული აქვთ ის მაღალი პასუხისმგებლობა, რაც მათ ეკისრებათ. წელს უკეთ გაისარჯნენ მექანიზატორები, მხვნელ-მთესველები. აგროტექნიკურ ვადებში შეუდგნენ მარცვლეული კულტურების თესვისათვის სამზადისს. ჩვენს ამ შრომას სტიმულს მატებს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომის გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ და რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევა. ერგეტელებს გვეამაყება, რომ ჩვენ იმ დიდი მრავალათასიანი კოლექტივის წევრები ვართ, რომელიც აქტიურად უბამს მხარს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს. ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს „საქქაღალდმრეწვის" საწარმოო გაერთიანების მუყაოსმკეთებელ და მუყაოსშემწებებელ საამქროთა კოლექტივებს, რომლებიც პროტესტის ნიშნად გაიფიცნენ და პროდუქციის გაგზავნა შეუწყვიტეს მოსკოვისა და რუსეთის სხვა რაიონებისა და ქალაქების საწარმოებს. ეს გაფიცვა გაგრძელდება მანამ, სანამ სამაჩაბლოდან არ იქნება გაყვანილი შინაგან საქმეთა საკავშირო სამინისტროს ჯარები, რომლებიც მხარში უდგანან ოს ექსტრემისტებს და მდგომარეობის ნორმალიზაციის ნაცვლად დესტაბილიზაცია შეაქვთ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

მექაღალდეთა ამ პოლიტიკურ აქციას მაღალნაყოფიერი შრომით უპასუხებენ ერგეტელები და ეს დაპირება რომ ლიტონ სიტყვებად არ დარჩეს ორგანიზებულად წარიმართა მუშაობა. დროულად მოვიყვანეთ წესრიგში ჩვენს განკარგულებაში არსებული ტექნიკა, მოვამარაგეთ სათადარიგო ნაწილები, მარცვლეული კულტურების თესლი. ჩვენმა მექანიზატორებმა ძმებმა ნუგზარ, ემზარ და თამაზ იზორიებმა, ბოჩია და გული ტაბაღუებმა, რეზო მიქავამ და ვახტანგ კვარაცხელიამ აგროტექნიკურ ვადებში მოამზადეს 500 ჰექტარი სახიმინდე ფართობი სამარცვლედ და სასილოსედ. აქედან 350 ჰექტარი სამარცვლე სიმინდს დაეთმობა, ხოლო დანარჩენი 150 ჰექტარი დაითესება სასილოსედ. წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღებთ 80 ცენტნერ სიმინდს.

სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკის თ. ბეჟვაიას მიერ გამოყვანილი ჰიბრიდული ჯიშის ლობიო დაითესება 5 ჰექტარზე. საამისოდ ნიადაგი შერჩეული და დამუშავებულია. ამ ნაკვეთზე მიღებული ლობიო ძირითადში საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებს და მეურნეობის მუშებს მიეყიდება სახელმწიფო ფასებში. ნაწილს კი გავყიდით საკოლმეურნეო ბაზარზე და შევინახავთ სათესლედ.

წელს „საქქაღალდმრეწვის" საწარმოო გაერთიანების 200-ზე მეტმა მუშა-მოსამსახურემ გამოთქვა სურვილი დასამუშავებლად გაიპიროვნოს სახიმინდე ნაკვეთი. ამ საკითხზე ერთობლივად იმსჯელა საწარმოო გაერთიანებისა და მეურნეობის დირექციამ. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რათა დაკმაყოფილდეს მექაღალდეთა მოთხოვნა. სახიმინდე ნაკვეთი გამოეყო ორასამდე მუშა-მოსამსახურეს. გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ყოველი მექაღალდე, რომელმაც გაიპიროვნა ნაკვეთი, შემოდგომაზე საკმაოდ უხვ მოსავალსაც მიიღებს. სახიმინდე ფართობების დამუშავებაში მექაღალდეებს ყოველნაირად შეუწყობს ხელს მეურნეობის დირექცია. პირველ რიგში ჩვენ მათ დავეხმარებით თესლით, ტექნიკით, მივცემთ მინერალურ სასუქებსაც.

თესვას ამ დღეებში დავიწყებთ და 12-15 კალენდარულ დღეში დავამთავრებთ. საამისოდ ტექნიკა და თესლიც მზად არის.

**ხ. ჯოჯუა,**
„საქქაღალდმრეწვის" საწარმოო გაერთიანების ერგეტის მეურნეობის დირექტორი.

## ჩაი ჩვენი სიმდიდრეა

ჩაის ხარისხი პლანტაციებიდან იწყება. იმაზე, არის თუ არა წესრიგში ჩაის ფარდულები, გააჩნიათ თუ არა ბრეზენტები, წესრიგში მოყვანილი აქვთ თუ არა ჩაის გადაზიდვის მანქანები, ბევრად არის დამოკიდებული ხარისხოვანი ნედლეულის მიწოდება გადამამუშავებელი საწარმოებისათვის.

ვინაიდან წელს ჩვენს ჩაის არ ექნება არავითარი მინარევები (ინდური ჩაი და სხვა) უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ საერთაშორისო არენაზე მაღალი სტანდარტების გვერდით საპატიო ადგილი დაიკავოს ქართულმა ჩაიმ.

იმისათვის, რომ ზუგდიდის №2 ჩაის ფაბრიკა შეუფერხებლად მოემსახუროს ზონის კოლმეურნეობებს, გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები. კაპიტალურად შეკეთდა საგრეხი, სახმობი, დამხარისხებელი, საღნობი საამქროები, ამჟამად მიმდინარეობს შეთეთრება, სანჭიგიანური დანადგარების წესრიგში მოყვანა.

ფაბრიკა მზადაა მიიღოს და გადაამუშაოს 4600 ტონა ნედლეული, ნედლეული ნამდვილად ხარისხიანი და არა მინარევებით, რასაც ადგილი ჰქონდა წლების მანძილზე. სადღეღამისო წარმადობა აყვანილია 60 ტონამდე, ასე რომ ვფიქრობთ „პიკებს" არ ექნება ადგილი.

როგორც აღვნიშნე, ნედლეულის ხარისხი არის უმთავრესი საზრუნავი. უნდა გვახსოვდეს, რომ უხარისხო ნედლეული, ეს იგივე უხარისხო პროდუქციაა, რომლის გამოშვების უფლება დღეს არავის არა აქვს.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი სიტყვა უნდა ვთქვათ მრეწველობის მუშაკებმა, რომელთა ვალია ქართული ჩაის ღირსების ამაღლება.

**ნ. ნადარეიშვილი,**
№2 ჩაის ფაბრიკის დირექტორი.

## ავაღორძინოთ მეაბრეშუმეობა

ოდითგანვე ჩვენი სოფელი განთქმული იყო მეაბრეშუმეობით. მახსოვს: ოციანი წლებისათვის დარჩელში იყო აბრეშუმის პარკის ჩამბარებელი პუნქტი, რომელიც 30-იანი წლებისათვის აბრეშუმის პარკის მიმღებ და საშრობ ფარდულად გადაკეთდა, სადაც მეტწილად სოფლის ახალგაზრდობა იყო დასაქმებული. ამ პერიოდიდან მოყოლებული 70-იანი წლებამდე დარჩელის მოსახლეობა ათეულ ტონობით აბრეშუმის პარკს აბარებდა სახელმწიფოს.

აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზაც გააჩნდა სოფელს, რადგანაც გლეხობის დიდ ნაწილს საკარმიდამო ნაკვეთი 0,5 ჰექტარიდან —1 ჰექტარამდე ჰქონდა. ამასთან, საზოგადოებრივ მიწებზე ხარობდა თუთის ხე. ფართობების გამსხვილება-გაერთიანებამ გაანადგურა ნარგავები, რის შემდეგაც გაჩერდა გეგმების შესრულება. ვითომ გამოსავალიც გამონახულ იქნა: მოსახლეობას მეორედ დაურიგეს მური მოსავლელად, რამაც თუთის ხეებისათვის ახალამონაყარი ნორჩი რტოების მეორედ მოცილება გამოიწვია. ამან კი თავისთავად თუთის ხეების დაავადება და მასიურად გახმობა.

შემდეგ ათწლეულში გაშენდა თუთის პლანტაციები მეურნეობის მიწ[illegible] ხე, მაგრამ რატომღაც სრულმოსავლიანი პლანტაციები ამოძირკვეს და ჯერ ხეხილი, მერე ჩაი გააშენეს, მაინც შეძლო მეთუთეობის ენთუზიასტმა, სოფელ კოკის მცხოვრებმა კარლო ფაჟავამ რაიონის სოფლების უმეტესობაში საფუძველი ჩაეყარა თუთის ხის პლანტაციებისათვის, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ ნარგავების დიდი ნაწილი განადგურდა.

თუ წინა წლებში ჩვენი ოჯახი აბარებდა 100 კგ-ზე მეტ აბრეშუმის პარკს, შარშან უარი ვთქვით აბრეშუმის ჭიის მოვლაზე საკვების უქონლობის გამო. ოჯახში გამოყვანილი 200 ძირი თუთის ხის ნერგისათვის მეურნეობამ ვერ შეძლო მიწის ნაკვეთის გამოყოფა.

დარჩელის 1200 კომლიან მოსახლეობას დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ეროვნული მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში, თუ მოსახლეობას, მეაბრეშუმეს დავაინტერესებთ არა მარტო აბრეშუმის პარკის ღირებულების გადიდებით, არამედ ვალუტითაც.

უპირველესად კი მიწა უნდა მიეცეს მიწის მუშას, რასაც რამდენიმე წელიწადია ტრიბუნებიდან და საინფორმაციო საშუალებებიდან ვპირდებით, მაგრამ გლეხობის გულის მოსაკლავად უპატრონოდაა მიგდებული.

**ანტონ არნანია.**

## რეკონსტრუქციის შემდეგ

მეფრინველეობის სამეურნეოთაშორისო სპეციალურ ფაბრიკას (დირექტორი ჟ. ჩიქოვანი), თავისი წვლილი შეაქვს სასურსათო პროგრამის დადებითად გადაწყვეტის საქმეში.

1 აპრილისათვის აქ ერიცხებათ 20000 ფრთა ფრინველი. სახელმწიფოს ჩაბარდა 55 ცენტნერი ფრინველის ხორცი. მიღებულია საკვების ეკონომია 58 ცენტნერი. მოგებამ შეადგინა 26 ათასი მანეთი.

ფაბრიკაში მიმდინარე რეკონსტრუქცია განზრახულია დამთავრდეს წლის ბოლოსათვის. შეფერხებებია საშენი მასალითა და დანადგარმოწყობილობით მომარაგების საქმეში.

ფაბრიკისათვის აუცილებლობას წარმოადგენს ელექტროენერგიით უწყვეტი მომარაგება, როგორც პირველი კატეგორიის საწარმოსი.

ფაბრიკის რეფორმის შემდეგ ექნებათ შესაძლებლობა ერთდროულად იყოლიონ 150.000 ფრთა ფრინველი. გათვალისწინებული აქვთ სადედე გუნდის შექმნა, რომელიც საინკუბაციო კვერცხით მოამარაგებს მთლიან ფაბრიკას.

ფაბრიკამ მიმდინარე წელს საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკას სადედე გუნდის შექმნის მიზნით გადასცა 15000 ფრთა სარემონტო მოზარდი, და მატებით გადაიცემა 80 ათასი ფრთა, რაც უზრუნველყოფს ორივე ფაბრიკას საინკუბაციო კვერცხით.

### ინფორმაცია

## მაქსიმალურად იყენებენ

ამინდის ხელსაყრელ პირობებს მაქსიმალურად იყენებენ ოდიშის კოლმეურნეობის (გამგეობის თავმჯდომარე ზ. ახალაია) მეჩაიეები, მხვნელ-მთესველები, მეციტრუსეები.

182 ჰექტარ მოსავლიანი ჩაის პლანტაციის ქვეშ შეტანილია მინერალური სასუქები, დასასრულს უახლოვდება ჩაის ბუჩქების გასხვლა-გადაბარვა.

10 ჰექტარზე გაშენებული მანდარინს უვლიან მეციტრუსეები. აღნიშნულ ფართობებში დამთავრებულია სასუქების შეტანა, მიმდინარეობს გადაბარვა.

მხვნელ-მთესველებს 53 ჰექტარი ნიადაგი მზადა აქვთ ნამარცვლე სიმინდის მოსაყვანად.

ოდიშელები ამ დღეებში შეუდგებიან თესვას.

გამოსათხოვარი

# ქალი იყოს...

კადირ ასიმის ძე აჯარალ-ოღლი (ზუგდიდელებისთვის კოს-ტია) ერთი უბრალო, ხელოსანი კაცი იყო. თავისი საქმის უებ-რო ოსტატი, ჩუმი და უპრე-ტენზიო...

შრომაში გალია წუთისოფელი. ზედმა ცხოვრების ბევრი მწა-რეც ასვა და ტკბილიც. ორ-მოცდაათიან წლებში, გადასახ-ლებაშიც იმყოფებოდა, —მი-ძვირს, ჯერ კიდევ ბავშვები. როგორ ვუძლებდით ციმბირის მკაცრ ყინვებს, შრომაზე არა-ფერს ვამბობ, ან რა დანა-შაული გვქონდა იმისთანა, ასე რომ გვაწვალესო,— იტყოდა ხოლმე...

ბოლოს წინასარეფერენდუმო დღეებში შევხვდი. მაინტერეს-ბდა, რას ფიქრობდა ჩემს მიწაზე გაზრდილი სხვა ეროვ-ნების კაცი. მუდამ ხალხმრავ-ლობა იყო მის სახელოსნოში. ამჯერად ძლივს დავიმარტოხე-ლე... რატომღაც მგონია, ჩემ-თან ყოველთვის გულახდილო-ბდა. თავის ოჯახზე მესაუბრა: მალე თურქეთში მივდივართ, მიწვევა გვაქვს, ვნახო ერთი, სად უცხოვრიათ ჩემს მშობლ-ებსო. რაო, იქ დარჩენას ხომ არ აპირებთ, თუმცა ყველა თავის ფესვებს ეძებს და რა გასაკვირია — მეთქი. ერთ-ხანს ღიმილიანი გაყუჩდა, საქმე ბ...ზე ...დგა, ნიგარ-ეტს მოუკიდა. ...ყურა, მიყურა და... ერთბაშად შემომიტ... სად მაქვს ფესვებიო. ჩემი ფესვები აქაა, საქართველოშია, აქ დავიბა-დე, აქ გავიზარდე, აქ დავი-ხარჯე. გავისუსე... მივხვდი, მხოლოდ მე კი არა, საკუთარ თავსაც კიდევ ერთხელ არწ-მუნებდა, რომ მას სხვა სამშო-ბლო არ გააჩნდა საქართველ-ოს გარდა.

მოულოდნელად გარდაიცვალა. ისევე ჩუმად წავიდა ამ ცოდ-ვა-მადლით დამძიმებული წუთ-ისოფლიდან, როგორც იცხოვრა.

გული დაგვწყვიტა. ნამდვილად დააკლდა ქალაქს...

საკუთარ შვილივით მიიღებს ქართული მიწა კადირ ასიმის ძე აჯარალ ოღლს.

...ლი იყოს მასზე!

ნ. მოსიძე.

## ა. კ. ვეკუა

გარდაიცვალა რიყის საშუალო სკოლის პედაგოგი, უფროსი მა-სწავლებელი არდალიონ კაკას ძე ვეკუა.

იგი დაიბადა 1923 წელს, პირ-ველდაწყებითი განათლება მიი-ღო რიყის შვიდწლიან სკოლ-აში, სწავლა კორცხელის საშუა-ლო სკოლაში გააგრძელა. შრომით საქმიანობაში ჩაება 1942 წლიდან. 1946 წელს ამთა-ვრებს ზუგდიდის სამასწავლებ-ლო ინსტიტუტს, 1950 წელს კი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულ-ტეტს. სხვადასხვა დროს მუშაო-ბდა ქედის რაიონის ცხემრი-სის რვაწლიანი სკოლის დირექ-ტორად, რიყის საშუალო სკოლ-აში ისტორიის მასწავლებლად, სასწავლო ნაწილის გამგედ, კლას გარეშე და სკოლისგარეშე მუ-შაობის ორგანიზატორი.

აღარ არის ჩვენს შორის ამ-აგდარი პედაგოგი მრავალი თა-ობის აღმზრდელი, კეთილსინდი-სიერი და უმწიკვლო პიროვნება, მაგრამ მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს ჩვენს გუ-ლში.

**რიყის საშუალო სკოლის კოლექტივი.**

**რედაქტორის მოადგილე ზ. ცხონდია.**

---

ზუგდიდის რაიონის იურიდიული კონსულტაციის თანამშრომლები ულოცავენ დაბადების დღეს —28 აპრილს ამავე კონსულტაციის გამგე-ადვოკატს თენგიზ იროდის ძე მიქაძეს და უსურვებენ ჯანმრთელობას, დიდი ხნის სიცოცხლეს, წარმატებებს მუშაობაში.

---

სტომატოლოგიური პოლიკლინიკის უფროსს ამერან აბრამიას, პოლიკლინიკის თანამშრომლებს ლია მოლაშხიას, ალიოშა დადვანს, მარინა ჩილაჩავას, გრიშა გულუას, გია დანე-ლიას მადლობას უხდის წესიერი მომსახურებისათვის და უსურვებს მათ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. შრომის ვეტერანი, პენსიონერი ვალოდია ქანთარია.

---

ზუგდიდის პურპროდუქტების კომბინატი ჰყიდის შეთანხმებ-ულ ფასებში რკინიგზის ლიანდაგს „რ—43“ და „რ—50“. თითო-ეული 800 გრძივი მეტრის ოდენობით, ამასთან იყიდება რკი-ნიგზის ვაგონის სასწორი დემონტაჟით.

მისამართი: სადგური რუხი, ტელეფონები 2—22—63, 2—60—81.

---

ჰყიდი ახალ ავტომანქანა „ზილს“. პირობების გაგება შეგიძ-ლიათ შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, ნინოშვილის 1-ლი შე-ახვევი №10.

---

დედა ლიმო. და ლიანა, ძმები: ჟორა, რამინი, ძმისშვილები: მანუჩარი, შავლეგი, მაკა, მულ-ები: ლენა. ლილი. ნათელა. ავე-ლინა, მარგო. ციცო. გულუე-ბი. მაზლი კარლო გულუა, დე-იდები: ციცი, პაუსია, ლუნა. მამიდა ოლია. ბიძები: დავითი თოდუა, მიშა კვარაცხელია. ბიც-ოლები: ნადია. ვალიდა. ლენა. რძლები: ვალია კილავა, ზანიკო ნაჭყებია, ლალი მაქაცა-რია, სიძეები: მეგონა ფიფია, შოთა ლაგვილავა. კუნტა ქავ-თარაძე, რეზო ლაგვილავა, ჟორა ქარცხია. მაზლიშვილები ქეთე-ვანი. ნანანა. ნანი. ავთანდილი. გელა. დეიდაშვილები. ბიძაშვი-ლები და ახლო ნათესავები ოჯა-ხებით იუწყებიან

**ნაირა (დოდო) კოჩობას ასულ ლაგვილავა-გულუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25, 26 აპრილს. დაკრძალვა 27 აპრილს სოფ. ყულიშკარში.

---

შოთა ვეკუა ოჯახით იუწყება ქვისლის

**არდალიონ კაკას ძე ვეკუას**

გარდაცვალებას.

---

ქალაქის №3 საშუალო სკოლის 1988 წლის კურსდამთავრებულ-ები თანაუგრძნობენ მაია ნაყო-ფიას დედის

**დოდო თორდია-ნაყოფიას**

გარდაცვალების გამო და სამძი-მარს უცხადებენ განსვენებულ-ის ოჯახს.

---

ნებაყოფლობითი სახანძრო საზ-ოგადოების ზუგდიდის სარაიონ-თაშორისო საბჭოს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება

**ნორა (არიადნა) ძაკას ასულ ლაგვილავა-ქობალიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნ-ობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების სამეგრელოს სად-როშო და ზუგდიდის რეგიონა-ლური ორგანიზაციის თანამშრო-მლები თანაუგრძნობენ ინდიკო, არტუშა და ვახტანგ ქობალიებს დედის

**ნორა ძაკას ასულ ლაგვილავა-ქობალიას**

გარდაცვალების გამო.

---

ქალაქის მოზრდილთა პოლიკლი-ნიკის თანამშრომლები თანაუგ-რძნობენ გული ქვარცხავას ძმის **თავარი ანტონის ძე ქვარცხავას** გარდაცვალების გამო.

---

ორულუს ომის ვეტერანთა საბ-ჭო იუწყება

**ეშა წურწუმიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნ-ობს განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის წარმოებისა და მომ-სახურების სფეროს კოოპერატო-რთა რაიონული გაერთიანების კოლექტივი თანაუგრძნობს გო-ნელი თორდიას სიძის

**კორნელი ვარლამის ძე ფიფიას**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე მანუჟა. შვილები: ზუ-რიკო. ზალიკო. რძლები: ეთერ ჩიქოვანი. ტანია. შვილიშვილები: ზურიკო. ლია. თემური, ლიანა, მარინე, და ბაბუცა, ძმა ჟორჟი. რძალი ელიკო. ცოლისძმა ნო-დარ გვაზავა. რძლები: გული. ვენერა. ცოლისდები ჟუნა. კატ-უშა, სიძე ბუდუ კირკიტაძე, ტოგო. ჯუნდა მაჭავარიანები, ავ-თა, მურადი. ვანია. ნორა კა-კულიები, ტარიელ, ავთანდილ, გული. ლიანა ბოკუჩავები. ძმის-შვილები: ნაირა, ზაირა. ანა. და-თო ოჯახებით. ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვარლამ (ძიკია) დავითის ძე თოდუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26, 27 აპრილს. დაკრძალვა 28 აპრილს. გამოსვენება ქ. ზუგდი-დი, კობახიძის ქ. 6.

---

დედა ლიმო. და ლიანა, ძმები: ჟორა. რამინი. სიძე მეგონა ფი-ფია. რძალი ზანიკო ნაჭყებია, ძმისშვილები: მაკა, შაკა, მანუ-ჩარ ლაგვილავები იუწყებიან

**დოდო (ნაირა) კოჩობას ასულ ლაგვილავა-გულუას**

გარდაცვალებას.

---

მეუღლე ლულიკო. შვილები: ნუგზარი. იური. მერი. და ლო-ლა. ძმა გვანჯი, დისშვილები: ვაჟა. გივი. თინა. ირა. ძმისშ-ვილები: ვალიდა, ზურაბი, რძა-ლი ლიდია ხორავა. დეიდაშვი-ლები: ვანია, კაკო, ქსენია დგებ-უაძეები. საშა ქაჯაია, მამიდაშ-ვილი აბო ადონია, ახლო ნათ-ესავები იუწყებიან

**აკაკი ნიკოლოზის ძე ვარდიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26 აპრილს. დაკრძალვა 27 აპრილს. გამოსვენება ქ. ზუგდ-იდი, საჯაიას 1.

---

დედა ქსენია. მეუღლე გულნაზი, შვილები: ბესიკი, კობა, და ლი-ანა. სიდედრი ლუბა. სიძე ბონ-დო კვარაცხელია. დისშვილები: მაყვალა, მევლუდი, ნუკრი, მამ-იდა ნადია. დეიდები: ვერა. თეო. თამარი. ლუბა. ფუშუტი. ბიძა სემინარ ოთხოზორია. ცოლისდ-ები: ციალა. მერი. თინა. მთვარ-ისა, ცოლისძმა ჟორა თუთისანი. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**დევი (გაჯი) ბესარიონის ძე ესართიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 აპრილს. გამოსვენება ქ. ზუგდ-იდი, სხულუხიას ქ. 23.

---

ყრუთა საზოგადოების კოლექ-ტივი თანაუგრძნობს კახა ნაყო-ფიას დედის

**დოდო მიხეილის ასულ თორდია-ნაყოფიას**

გარდაცვალების გამო.

---

ზუგდიდის რაიონის სანეპიდ-სადგურის თანამშრომლები თა-ნაუგრძნობენ ცისანა ლუჩწკაიას მამის

**ნიკოლოზ ლურწკაიას**

გარდაცვალების გამო.

---

დედა ციალა. მამა კოტე: და გურანდა. ძმა გია. ბებია ანიჩკა, ბაბუა მაქსიმე ფონია. ბიძები: ჯეკი. თორნიკე წყარომზიები, რეზო ტყებუჩავა. ანტითა. ჟორა. ვენია, ლეონტი ფონიები. დეიდა ... მამიდები: ეთერი, თი-ნიკო. მზია, ირა, ბიცოლები: ნაზო. ნონა. ციალა. დოდო. თი-ნა. ნათელა. ლამარა. მზია, დე-იდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

**დათო კოტეს ძე გუგუნავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24, 25, 26, 27 აპრილს. დაკრძა-ლვა 28 აპრილს სოფ. ზემო ქახათში.

---

შვილები: ეთერი, ლეო, ძმა დი-მიტრი, აღზრდილი გურამი შე-ლია. რძლები: მერი ნინუა, ნარ-გიზა ჯოლოგუა, მანანა გიგიბერიშ-ვილი, შვილიშვილები: მიშ-კო ნინუა. ლევან ბერაია, შალვა, ზაზა შელიები. სიძე ვაჟა ბე-რაია, დისშვილი მარინა შუშბუ-რიძე, ძმისშვილები: ხათუნა, ნი-ნო. ლევან ნინუები, დეიდაშვი-ლები. ბიძაშვილები. მამიდაშვი-ლები. ახლო ნათესავები იუწ-ყებიან

**მიშა (მიხეილ) ლეონტის ძე ნინუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25, 26 აპრილს. დაკრძალვა 27 აპრილს. გამოსვენება ენგელსის 6-დან 17 საათზე.

---

შვილები: თამარ, ციალა, ვიტო-ჩკა, ძმა ჯურგუ შამათავა, შვი-ლიშვილები: თავრიდი, თენგიზ ჩუხუები, მაყვალა, ზურიკო ფეტელავები, ემზარ. რიტა. ზუ-ლა ნარსიები, სიძეები: პუშიკო ნარსია, იაშა ფეტელავა, ნუგ-ზარ აბაკელია, ვალერ თოდუა, ზაურ ბოხუა. კუკური ბელქანია, რძლები: ძამია მირცხულავა, ნი-ნო თოლორაია, ქეთინო. მარი-ნა სიჭინავები. ძმისშვილები: თინა. ტოლიკი. გელა შამათავე-ბი. მაზლიშვილები: ვალიდა, დოდო მირცხულავები. მულიშ-ვილები: პალიკო. ოლია. ქსენია. გოჩა გაბედავები, დეიდაშვილ-ები, ბიძაშვილები, ახლო ნათეს-ავები იუწყებიან

**ვენერა კოჩიას ასულ შამათავა-მირცხულავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 აპრილს სოფელ ყულიშკარში. (ბაღ-მარანი).

---

შვილები გურიელ და ნოდარ სა-ნაიები ოჯახებით იუწყებიან

**...გა სამსონის ძე სანაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24 25, 26 აპრილს. დაკრძალვა 27 აპრილს სოფ. ფოცხოში (სენა-კის რაიონი).

---

საქართველოს რესპუბლიკის ერ-ოვნული გვარდიის №5 ბატალი-ონის კოლექტივი იზიარებს ვახ-ტანგ ქობალიას მწუხარებას დე-დის

**ნორა ქობალიას**

გარდაცვალების გამო და თა-ნაუგრძნობს განსვენებულის ოჯ-ახს.

---

მეუღლე ვალია, შვილები: მარი-ნა, თამაზი. იგორი. მზია. გივე-რი, დები: ნადია. ლენა, ბუცა. ძმა არისტრახო. რძლები: ეკა ბოხუა, ლუბა, მზია. ლუნა. სიძ-ეები თამაზ ბუაძე. რევაზ გვი-ლია, მეგონა ჯალაღონია, ვაჟი-კო მორგოშია. ჟორჟი კვარაც-ხელია, შვილიშვილები: ეკა, ლე-ვანი ბუაძეები, ირმა, გელა გვი-ლიები, ლიკა. ლევანი, ლელა, ნანა. ანა. სესილი. სოფიკო. სო-სლანი თოდუები. მზახლები: მე-რი გოგოხია. ანა. გაბო ბოხუე-ბი. დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იროდი ბუხუს ძე თოდუა.**

პანაშვიდი 24, 25, 26 აპრილს. დაკრძალვა 27 აპრილს. ზუგდი-დი, გამოსვენება არაგვისპირე-ლის ქ. 2-დან.

---

მეუღლე ვენერა, შვილები: ნი-ნო, ემზარი, რძლები: ლილი, ანა. სიძე ვალტერ ხუფაცარია. ძმისშვილები: ლუიზა. ლორიტა. მარაბი, ცოლისძმები: აპოლონი. გელა კვირკველიები, მამიდაშ-ვილები, დეიდაშვილები, ბიძაშ-ვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**დავით (დათუშა) აქვსენტის ძე ფაჟავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24 აპრილს. დაკრძალვა 25 აპრ-რილს, გამოსვენება ს. ქახათი, ოდიშის ქ. №4-დან.

---

ბაღმარანის არასრული საშუა-ლო სკოლის პედკოლექტივი თა-ნაუგრძნობს ამავე სკოლის მასწ-ავლებელს თამარ მირცხულავას დედის

**ვენერა კოჩიას ასულ შამათავა-მირცხულავას**

გარდაცვალების გამო.

---

ზუგდიდის ჰელსინკის კავშირის წევრები იუწყებიან

**ნორა ძაკას ასულ ლაგვილავა-ქობალიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძ-ნობას უცხადებენ განსვენებულ-ის ოჯახს.

---

ქ. ზუგდიდის №3 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექ-ტივი და ტექნიკური პერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყება ამა-ვე სკოლის მასწავლებლის

**...დო მიხეილის ასულ თორდიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნო-ბას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის საექსკურსიო ბიუროს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჯენერი მგალობლიშვილს მეუღ-ლის

**ნანი ხოთოს ასულ კაციას**

გარდაცვალების გამო.

---

ქ. ზუგდიდის მერვე საშუალო სკოლის 1986 წელს კურსდამთა-ვრებულები იუწყებიან

**ბადრი ანზორის ძე ოყუჯავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნ-ობენ განსვენებულის ოჯახს.


... 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-...

ნაქ. ... ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-92 ტირაჟი 3000 შეკ. №1440